ორი 0:0

ტაშკენტში ადგილობრივი "პახტაკორი" შეხვდა თბილისის "დინამოს". თამაში საინტერესო, ტემპიანი და, ამავე დროს, კორექტული ბრძოლით აღინიშნა. შესვენებამდე თბილისელებს ორჯერ ჰქონდათ მეტოქის კარის აღების კარგი შესაძლებლობა: ჯერ ბარქაია გავიდა "პახტაკორის" მეკარის პირისპირ და 5 მეტრიდან პირდაპირ ხელებში დაურტყა ბურთი, ხოლო შემდეგ ასევე პირისპირ გასულმა ხუციშვილმა... ძელი შეაზანზარა.

შესვენების შემდეგ თბილისელები კვლავ უნაყოფოდ უტევდნენ, ერთხელ კი ურუშაძემ "დინამოს" კარი აშკარა გოლისაგან იხსნა. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მაისურაძე.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა – 4:1.

"ლელო", 28 მაისი, 1966 წ.